№ 81 აპრილი 25, შაბათი 1887 აპრილი 25, შაბათი № 81

| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1887 წელიწადი

ამ ნომერში ექვსი გვერდია

ტფილისი, 24 აპრილი

გაზეთებიდამ ამოკითხულ დეპეშებს თუ დავუკვირდით და ნამეტნავად თუ დავუჯერეთ, გამოჩნდება, რომ ბალკანის ნახევარ კუნძულზე პოლიტიკამ თუ ფერი არ იცვალა, აპირობს ფერის ცვალობას. სერბიაში სამინისტრო გარაშანინისა გადადგაო და მეფე მილანმა მისი სამსახურიდამ გასვალ შეიწუნარა და ხორვატოვიჩი მოიწოდა, რომ ჩაებარებინა მთავარ-მინისტრობაო.

გარაშანინი დიდი მომხრე იყო ავსტრიისა და სერბიის პოლიტიკა სულ იმაზედ ჰქონდა მიქცეული, რომ ავსტრიასთან ერთობა ჰქონოდა სერბიასა და რაკი ავსტრიასთან, მაშასადამე გერმანიასთანაც. ამბობენ, გარაშანინის გადადგომა იმ განხეთქილებამ მოახდინა, რამაც ამ ბოლოს ხანებში თვითონ სერბიის სამეფოს სასახლეში თავი იჩინა.

მეფე მილანის მეუღლე დედოფალი ნატალია დიდი ხანია ცნობილია, ვითარცა მომხრე რუსეთისა და გარაშანინის პოლიტიკის მოპირდაპირეთა მოთავედ დიდი ხანია დედოფალი ითვლებოდა სამეფო სასახლეში. დღეს სჩანს, დედოფალს გაუმარჯვნია და გარაშანინს თავი ვეღარ დაუჭერია. გარაშანინის სამსახურიდამ გამოსვლა იმას მოასწავებს, რომ სერბიის პოლიტიკა ცოტად თუ ბევრად დაჰშორდება ავსტრიის პოლიტიკასა და დაუახლოვდება რუსეთისას.

სერბიის გაზეთი «ოდიეკი» ამბობს, რომ სერბიის ერმა უნდა მოსთხოვოს მთავრობას, ხელი აიღოს ავსტრიის მომხრეობაზედ და მიეკედლოს რუსთ-ფრანგთა კავშირსა, რომელიც დღეს იქნება თუ ხვალე მოსალოდნელიაო. ბერლინელი გაზეთი «Post»-ი იძახის, რომ ეს «ოდიეკის» თქმული წინა-მორბედი ნიშანია სამინისტროს შეცვლისა და მაშასადამე სერბიის პოლიტიკისაცა.

თუ მართალია, რომ მეფე მილანმა ხორვატოვიჩი მოიწვია მთავარ-მინისტრად, სჩანს რომ პოლიტიკა სერბიისა, თუ სრულად არა, ცოტად მაინც გამზადებულია რუსეთისაკენ გადახრისათვის. ხორვატოვიჩი ისეთი ცხარე მოპირდაპირე არ არის რუსეთის მომხრეობისა, როგორც გარაშანინი. ეს წინადაც დაამტკიცა ხორვატოვიჩმა, როცა სერბიის მთავრობას წინადადება მისცა, რომ სერბიის აფიცრები რუსეთის სამხედრო აკადემიაშიაც უნდა იგზავნებოდნენ სასწავლებლადაო. ეხლაც ამისი უტყუარი საბუთი ხელთ მოგვცა: მეფე მილანს გამოუცხადებია თუ არა, რომ შენ მინდა დაგავალო მთავარ-მინისტრობაო, ხორვატოვიჩს ის პირობა დაუდვია, რომ რისტიჩი საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნოსო. რისტიჩი რუსეთის გულ-მოდგინე მომხრეა და წინააღმდეგი ავსტრიისა. მეფე მილანს არ უკაბულნია რისტიჩის მინისტრობა და ხორვატოვიჩსაც უარი მოუხსენებია.

ეს ამბავი იმიტომ მოვიყვანეთ, რომ აქედამ ცხადადა სჩანს ფერისცვალება სერბიის პოლიტიკისა ცოტად, თუ ბევრად.

ბოლგარიაშიაც ამ ფერისცვალების ნიშნებია. გაზეთებში მოყვანილი დეპეშები ამტკიცებენ, რომ მაიორი პაპოვი, სოფიის მეციხოვნეთა უფროსი და საგარეო საქმეთა მინისტრი ნაჩევიჩი არამც თუ სამსახურს თავს ანებებენო, არამედ ბოლგარიიდამ სამზღვარ-გარედ გასვლასაც აპირობენო. პაპოვი და ნაჩევიჩი ცნობილნი არიან ვითარცა მოპირდაპირენი რუსეთისა. ამათ სამსახურიდამ გამოსვლის ხმას ძალიან უმოქმედნია ბოლგარიის მხედრობაზედ ასე, რომ რამდენსამე აფიცერს და მათთა შორის განსაკუთრებით დანიშნულს კამისარს სარეგენტოსას პეტროვს არზა მიუციათ სამსახურიდამ დათხოვნისა. თუმცა მათი თხოვნა ჯერ შეწყნარებული არ არის, მაგრამ თვითონ ეს ამბავი და ნამეტნავად მიზეზი, რომელსაც აუძულებია პაპოვი და ნაჩევიჩი სამსახურიდამ გამოსულიყვნენ, მეტად საყურადღებოა.

ამ ბოლოს ხანებში პაპოვს არა ერთხელ საჯაროდ ულაპარაკნია, რომ ევროპამ ხელი აიღო ბოლგარიაზედ, ბატტენბერგის დაბრუნება შეუძლებელი გახდა და საჭიროა არამც თუ დაუყოვნებლივ მოწვევა საერო კრებისა, არამედ რუსეთთან შერიგებაცაო. ამ სიტყვებს რუსეთის მოპირდაპირე კაცისას ძლიერ უმოქმედნია ბოლგარიაში.

ყოველს ამას ისიც დაუმატეთ, რომ ოსმალოს შეუთვლია ბოლგარიის სარეგენტოსათვის: სარეგენტო გადადგეს, ჩემი გამისარი რიზა-ბეი ეხლანდელ სამინისტროსთან ერთად ჩაიბარებს ბოლგარიის საქმეთა წინამძღოლობას და მერე მოწვეულ იქმნება საერო კრება მთავრის ამოსარჩევადაო. აი გაზეთების სიტყვით დღევანდელთა საქმეთა მდგომარეობა ორს უმთავრესს სახელმწიფოში ბალკანის ნახევარ-კუნძულზედ.

ჩვენის ფიქრით, ყოველს ზემოთქმულს კავშირი აქვს შნებელეს საქმესთან, რომელმაც ევროპის ყურადღება სრულად მიიპყრა და თვალი ევროპისა მოაშორა სხვა საქმეებსა. რაკი ეგ საქმე დასავლეთის ევროპისა დასცხრება და განელდება ყოვლად შემძლებელის ბისმარკის ხერხიანობითა და მშვიდობიანობას ამ მხრით აღარა ეფიქრება-რა, შესაძლოა ყოველივე იცვალოს აღმოსავლეთ ევროპაშიაც. ასე სტოკავს ულელი პოლიტიკის სასწორისა ევროპაში ბისმარკის მანქანებითა და მინამ ბისმარკი თავის წადილს ასე თუ ისე არ აისრულებს, ეს ულელი თავის ღარსა და დონეზედ არ დადგება.

## ახალი ამბავი

*** ტფილისში მშვენიერი დარები დაიჭირა. ხეები საამურად გაიფოთლა და გარეშემო მთები და გორები სასიამოვნოდ ამწვანდა. ქალაქ გარეშე ბაღები: მუშტაიდი და საბოტანიკო ძალიან გატკბა ტფილელთათვის. საითაც-კი გაიხედავთ, ქალაქის განაპირას ამწვანებულს მთებზედ მრავლად დასეირნობენ ქალები და კაცები და სტკბებიან გაზაფხულის შვენებითა, სურნელოვანის ჰაერითა და მზის თბილის და მაცოცხლებელის სხივებითა.

სამწუხაროდ, ბოტანიკის ბაღის გზა ამ ჟამად ძალიან გაფუჭებულია. როგორც ეტყობა, ყურადღებას არავინ არ აქცევს ამ გზას. ნაგვითა და მთიდამ ჩამოტანილის ქვით არის სავსე ეს აღმართი.

*** ლორთქიფანიძის „ტრამვაი“-საც გაზაფხულებისათანავე კარგი დარები დაუდგა და დიდი ვაჭრობა აქვს. თითქმის ყოველს საღამოს, როცა-კი თბილა, იმის სასეირნო ფარდული და მოედანი სავსეა ხალხით. აქ იმართება სხვა-და-სხვა წარმოდგენები ჯამბაზებისა, მუსიკას უკრავს ორი გუნდი მემუსიკეთა და ფარდულში კიდევ გამართულია სამკითხველო, სადაც უსასყიდლოდ შეუძლიან იქ მიმსვლელს ყოველი ტფილისის გაზეთი წაიკითხოს.

*** ტფილისის საქალაქო გამგეობას განზრახვა აქვს დაჰყოს პატარა-პატარა ნაჭრებად ის საქალაქო მიწები, რომელიც ტფილისის რკინის-გზის სადგურს იქით არის ავჭალის გზაზედ და დაჰყიდოს. ამბობენ, რომ ეს მიწები იაფად გაისყიდებაო.

*** ამავე საქალაქო გამგეობას განზრახვა ჰქონდა, რომ მუხრანიანთ ხიდთან ახალი ხიდი გაეკეთებინა მტკვარზე, მაგრამ ამ საქმეს ერთი დაბრკოლება აღმოუჩნდა: იქით მხარეს, მალაკნების უბნისაკენ, მომავალის ხიდის მისავალზე არის მამული და სახლი ახნაზაროვისა, რომელსაც დარჩენია წვრილ-შვილები. საქალაქო გამგეობას უნდოდა ეყიდნა ეს სახლი, ან ერთი

# ფელეტონი

## აკაკის ფელეტონის გამო *)

დღეს მე რაღაც საფათერაკოდ ენა ამქავდა და ძლიერ მოწადინებული ვარ მკითხველს საუბარი გავუმართო. მაგრამ ის მწარე და აუტანელი ფიქრი, რომელიც ყურში მაცდურად ჩამძახის: „იქნება არც-კი არავინ წაიკითხოს შენი ნაწერიო!“ თავიდგან არა მშორდება და მოსვენებას არ მაძლევს... მომიტევეთ... მე არ ვეკუთვნი იმ ბრძენთა გუნდს, რომელნიც მეტისმეტის შეუდრეკელის სიდინჯით და სირინოზის ხმით გაიძახიან. ჩვენთვის სულ ერთია, წაიკითხავენ ჩვენს ნაწერებს, თუ არაო. უნდა გამოვსტყდე, მე იმათი სიტყვა არა მრწამს და—ღმერთო შეგცოდე—ყოველთვის იმისი მსურველი ვარ, რომ ჩემი ნაწერი წაკითხულ იქნას, ჩემი საუბარი მოსმენილი. ვგონებ, აქ ადამიანის ბუნების საწინააღმდეგოს არაფერს არ უნდა ვამბობდე. მაშ ყურადღება...

### I

მკითხველს ეხსომება წარსულის წლის, დეკემბრის „ივერიის“ მე-277 №-ში ფელეტონად დაბეჭდილი აკაკის წერილი „ლაყბობა“. აი ამ წერილის გამო გვექნება დღეს ჩვენ საუბარი.

თავის მეტად საყურადღებო და დასაფიქრებელს წერილს აკაკი შემდეგის სიტყვებით იწყებს: „მე მხოლოდ ის ვიცი, რომ არა ვიცი-რაო!“ უთქვამს ერთს ფილოსოფოსს. „ჩვენ ყველაფერი ვიცით, მაგრამ სხვები არ გვიჯერებენო!“ დაუქინიათ სულელებს. უეჭველია, როგორც პირველი, ისე მეორეებიც გულ-წრფელად აღიარებენ თავიანთს აზრს, მაგრამ რა სჯობია, რომელი უფრო გამოსაყენებელია ცხოვრებაში: ჭკვიანების არა-რაობაზე ფიქრი, თუ სულელების დიდვინმეობაო? რასაკვირველია, მეორეო! —უპასუხებს აკაკი.

ამ წინადადებაში აკაკისაგან გაბედულად გამოთქმულს აზრს ჩვენ არ ვეთანხმებით და აი რისთვის. მოაზრე, ანუ ჭკვიანი კაცი, რომელსაც სურს „გამოჩენილს და დიდებულს“ მიეტოლოს, რა აზრსაც უნდა ხატავდეს იგი თავის სიტყვებით და რა რწმუნებისაც უნდა იყოს, ბოლოს მაინცა და მაინც ერთს რომელსამე აზრს, შეხედულობას უნდა იჩნევდეს ჭეშმარიტებად. ეს აზრი ანუ შეხედულობა აკმაყოფილებს იმის ცნობის-მოყვარეობას, იმის საკუთარ ბუნების მოთხოვნილებას. მე სიცივით ვკვდები,—იძახის შიშველ-ტიტველი ადამიანი; მე არაფერი არ ვიცი,—გაიძახის უმეცარი. როდესაც შიშველ-ტიტველს თქვენ ჩააცმევთ და დაჰხურავთ, უმეცარს ასწავლით, ანუ მისცემთ სახსარს, ღონის-ძიებასა, რომ გონებით განვითარდეს, ისწავლოს, მეცნიერება შეიძინოს და ამ ნაირად გააგებინებთ ჭეშმარიტებას, ისინი იტყვიან: მე ახლა არა მცივა, თბილადა ვარ; მე ახლა ვიცი, მივხვდი ჭეშმარიტებას, გავიგე რა არის ავი და რა კარგიო. ყოველთვის ასე იყო ქვეყანაზე, არის და იქნება; ყოველთვის ადამიანს მიაჩნდა, მიაჩნია და მიჩნეული ექმნება შემდეგშიაც ჭეშმარიტებად და, მაშასადამე, კანონიერადაც ის, რაც იმის საკუთარ ბუნების მოთხოვნილებას და აზრს აკმაყოფილებს.

ძველის საბერძნეთის ფილოსოფოსმა თუ სთქვა: „მე მხოლოდ ის ვიცი, რომ არა ვიცი-რაო!“ ამით მან გულწრფელად აღიარა სიმართლე. ფილოსოფოსის პირით წარმოთქმული სიტყვები მრთელის ძველის ქვეყნის გულწრფელი აღსარებაა და მეტი არაფერი. ძველს ქვეყანას თავის ფილოსოფოსებით არაფერი მტკიცე, მეცნიერების თვალით განზომილი სწავლა-მოძღვრება და ცოდნა არა ჰქონია. ძველი ქვეყანა მხოლოდ ინსტინქტიურად ჰგრძნობდა, რომ „ცოდნა არის სიკეთეო“, მაგრამ ამ ცოდნას იგი სცდილობდა შემოქმედებითის ძალისა და ფანტაზიის შემწეობით მიმწვდარიყო. ცხადია, რომ ზემოდ წარმოთქმული სიტყვები ფილოსოფოსისა ნამდვილად შეეფერებოდა იმ დროის გონების განვითარებას და სწავლა-ცოდნასა. მაგრამ, დაგვეთანხმეთ, რომ ეგევე სიტყვები ფილოსოფოსისა დღეს კი ანახრონიზმს წარმოადგენს. დღეს, აკაკიც დაგვემოწმება, მეცნიერებამ უკან ჩამოაყენა შემოქმედება, ჭკუა-გონების მოსაზრებამ—ფანტაზია, კრიტიკულად შემუშავებულმა ზნეობითმა რწმუნებამ და ამ რწმუნებისამებრ ცხოვრებაში მოქმედებამ—უაზრო ბოდვა, უხასიათობა და სიმხდალე, „ჭკვიანების არა-რაობაზე ფიქრი და იმათი დაჩუმება“... დღეს ჩვენ, საწყლები, ჩვენ, სიკვდილის უბრალო შვილნი, რომელნიც სისხლის ღვრით, ოფლით და ტანჯვით ძლივს-ძლივობით ლუკმა პურსა ვშოულობთ, რომ შიმშილით არ მოვკვდეთ,—დღეს ჩვენ შევჩერებივართ, შევსთხოვთ მოაზრე ადამიანებსა და ჭკუით სავსე კაცებს: შეჰხედონ ჩვენს გაჭირებულს, გამწარებულს ცხოვრებას, მოგვცენ რაიმე ღონის-ძიება, რომ სული მოვიბრუნოთ, წელზედ ფეხს არ ვიდგამდეთ; გვასწავლონ, გამოგვაფხიზლონ და ჩვენის ბუნების კანონიერი მოთხოვნილება დააკმაყოფილონ.

გვიჩვენეთ, მიგვითითეთ, ამ სურვილსა და თხოვნაში თუ რამ წინააღმდეგი და უკანონო არის! და ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ მოაზრე, ჭკვიანი კაცები მუდამ სცდილობენ და ეცდებიან კიდეც, რომ კაცობრიობას თავიდგან მოაშორონ ავი და უბედურება და მის მაგიერ მიანიჭონ ბედნიერება და სიკეთე. ამას თვითონ ჭკვიანის კაცების და მეცნიერების ინტერესიც მოითხოვს: კაცობრიობის

*) ეს ფელეტონი, სახელად „ლაყბობა“, დაბეჭდილი იყო „ივერიის“ მე-277 №-ში 1886 წ.

ნაწილი ამ მამულისა და ამიტომ მიჰმართა ახნაზაროვის ობლების მზრუნველს ბ-ნ ქიუჩარიანცს. ქიუჩარიანცმა მოსთხოვა გამგეობას 60 ათასი მანათი მაშინ, როდესაც სახლი დაფასებულია მხოლოდ 30 ათას მანათად. გამგეობამ აძლია 20 ათასი მანათი ამ მამულის პატარა ნაწილში, მაგრამ ბ-ნმა ქიუჩარიანცმა არ ინება. გამგეობას შეუძლიან, რასაკვირველია, მთავრობას მიჰმართოს და ძალათი შეისყიდოს ეს მამული, მაგრამ ამ გვარად საქმის მოხერხება ცოტაოდნად დაგვიანდება და იმ ინჟინერებს-კი, რომელთაც იკისრეს ხიდის აშენება, უნდოდათ მალე გათავებულიყო ეს საქმე. ხიდის აშენება იკისრეს იაფად, 100 ათას მანათად, იმიტომ-რომ იმათთვის ეხლა მოსახერხებელი იყო ეს საქმე სხვა-და-სხვა მოსაზრებათა გამო. მერე ხიდის აშენებას იმ პირობით კისრულობდნენ, რომ ფული უნდა ეძლოთ 10 წლის შემდეგ მას უკან, რა-კი ხიდი უკვე აშენდებოდა.

*** სახელმწიფო ქონებათა მინისტრს მოუწერია ჩვენის სამეურნეო საზოგადოებისათვის, შეგვატყობინეთ თქვენი აზრი იმ ახალის წესის თაობაზედ, რომლის შემოღებასაც ვაპირობთ სამხედრო სურსათის და საგზალის მოგროვების შესახებაო.

*** ამას წინად ზოგიერთს პეტერბურგის გაზეთებში სწერია, რომ საზაფხულოდ კავკასიის სამადნო წყლებზე აპირობს წასვლას სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ბ-ნი ოსტროვსკიო. ეხლა გაზ. „ნოვ. ობოზ." ამბობს: პეტერბურგიდამ მოვიდა ამბავი, რომ წყლებზე მოვა არა ოსტროვსკი, არამედ დირექტორი სამთო დეპარტამენტისა კულიბინი. კულიბინს აზრადა აქვს, რომ ყურადღება მიაქციოს სამთო წარმოების საქმეს კავკასიაშიო.

*** გურიიდგან გვწერენ: ორი-სამი წელიწადია მას შედეგ, როგორც მე მიამბეს ნამდვილის მცოდნე კაცებმა, რაც ერთს ახალგაზდა კაცს ქალი შეუყვარებია და ცოლ-ქმრობის სურვილი გამოუცხადებია. ქალიც დათანხმებულა, მაგრამ ქალის ნათესავები უარზე დამდგარან. ამ წლის იანვარში მოუწადინიათ ჯვარის დაწერა შეყვარებულთა, მაგრამ მღვდლის ნება-რთვა ვერ აუღიათ ქალისათვის და ამის გამო საქმრო და მისი საცოლო ყოვლად სამღვდელო გრიგოლთან წასულან ნება-რთვის ასაღებად. როცა ყოვლად სამღვდელოს გამოუკითხავს ქალისათვის და გაუგია, რომ კაცსაც ამ ქალის მეტი არავინა სდომებია საცოლოდ, მოწერილობა გამოუგზავნია ბლაღოჩინისთვის: «გამოიკვლიე და, თუ არაფერი ნათესაობა არ არის მათ შორის, ჯვარი დასწერეო». ბლაღოჩინს მღვდლისათვის მიუწერია, ქალს ჯვარის წერის ნება-რთვა მიეციო. მღვდელს ნება მიუცია და გახარებული საქმრო წამოსულა ბლაღოჩინთან. ბლაღოჩინთანვე მოსულან ქალის მახლობელნი და უთხოვნიათ, როგორმე მოგვიხერხე საქმე, რომ ქალი მოვიტაცოთო. ბლაღოჩინიც დათანხმებულა, საქმრო შინ გაუგზავნია, მოემზადე, საღამოზედ ჯვარს დაგწერ და მეც თქვენთან წამოვალო. ქალი-კი ამ ბლაღოჩინისას ყოფილა დამალული. როდესაც საქმრო თავის სახლში წასულა, ბლაღოჩინთან ქალის მახლობელნი მოცვივნულან; ატეხილა ერთი ჩხუბი და დავიდარაბა; მოსულა „პრისტავი" და ძლივს-ძლიობით დაუშლიდებია ხალხი, ქალი-კი პატრონებისათვის ჩაუბარებია. აქ ქალის ნათესავებს სხვა საქმრო ჰყოლიათ მოწვეული, წაუყვანიათ ქალი და საქმრო სხვა სოფელში და იქ ძალით ჯვარი გადაუწერიათ.

*** ახირებული წესი აქვს თურმე ტფილისის ცხენის-რკინის გზის გამგეობას ახალის მოსამსახურეთა მიღების დროს. როცა ითხოვს ვინმე ალაგს, გამგეობა მაშინვე კანდიდატად შერიცხავს და თან გამოართმევს 35 მანათს ბესა. მთხოვნელი ირიცხება კანდიდატად, ელის ალაგს, ამ ლოდინში მიდის თთვე და ორი თთვეც და ალაგი-კი მაინც არსად არა ჩნდება. ბოლოს უბრუნებენ ბეს და ეუბნებიან, რომ ალაგი არ არისო.

*** საზოგადოდ სრულიად რუსეთში 1885 წლისა და 1886 წლის განმავლობაში დაბეჭდილა აღმოსავლეთის ენებზე შემდეგი რიცხვი წიგნებისა: სომხურად—130 წიგნი, ქართულად—97, თათრულად—63, არაბულად—23, არაბულ-თათრულ ენაზედ—20, ოსმალურად—5, სპარსულად—4, სპარსულ-თათრულს ენაზედ—2 და არაბულ-ოსმალურს ენაზედ—1. (გაზ. „ნოვ. ობოზ.")

*** მედინაში გარდაცვლილა შამილის შვილი, ყაზი-მაჰმადი.

*** ონიდამ სწერენ გაზ. «კავკაზს»: ამ დღეებში აქ მოვიდა ამბავი ტფილისიდამ, რომ უმაღლესი საფოსტო და სატელეგრაფო მთავრობა თანხმაა გაიმართოს თქვენს დაბაში სატელეგრაფო სადგურიო. მხოლოდ პირობა ასეთი დაუდვია: მანდაურმა მცხოვრებლებმა უნდა თავის ხარჯით დასხან ბოძები, იქირაონ სახლი სადგომისათვის და იყიდონ სადგომისათვის საჭირო ევჯიო.

*** იქიდამვე სწერენ ამავე გაზეთს, რომ ჩვენში ჯერ როგორღაც გვიან არის გაზაფხული და ხალხს ძალიან ეშინიან, რომ ამ წლის მოსავალს არ გამოვეთხოვოთო.

*** „Русскій Кур."-ი ამბობს, რომ სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა იშუამდგომლა სახელმწიფო საბჭოს წინაშე და ითხოვა 100,000 მან. სხვა-და-სხვა სამეურნეო საჭიროებათათვისაო. ეს ფული კიდეც გამოუვიდა მინისტრს. ამ ფულით მინისტრს განზრახვა აქვს განაკარგოს წველა-დღვების და ყველის კეთების საქმე ამიერ-კავკასიაში და ამიტომ 5,000 მან. გადასდო საჭირო კაცების გასაგზავნად იმ ადგილებში, საცა ეს ხელობა გავრცელებული. ამას გარდა მინისტრს განზრახვა აქვს გაჰგზავნოს მცოდნე კაცები სხვა-და-სხვა ქვეყნებში თუთუნის წარმოების შესასწავლად. მინისტრი ჰფიქრობს კიდევ და პროექტიც შეუდგენია, რომ დაარსდეს რამდენიმე სამეურნეო და სამეტეოროლოგიო და საპატეოროლოგიო სადგურნი სამხრეთს რუსეთში. ყველა ეს განზრახვა ფრიად სასარგებლო განზრახვად იცნო სახელმწიფო საბჭომ და ამიტომ გადასდო ამ საქმისათვის 100,000 მან.

### სია შემწირველთა

წიფასა და ყვანას შუა ჩამოწოლილ მიწისაგან დახოცილთა ცოლშვილის სასარგებლოდ. ჩვენს რედაქციას კიდევ ფული მოუვიდა შემდეგ შემომწირველთაგან:

| | |
|---|---|
| მოსო აბაშვილისაგან | 40 კ. |
| ლადო ილიას ძე საფაროვისაგან | 50 „ |
| ილია საფაროვისაგან | 50 „ |
| სულ | 1—40 |
| წინად იყო | 103—10 |
| სულ | 104—50 |

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფელი ხაში. შარშან გაზაფხულზედ ვაცნობეთ „ივერიის" მკითხველებს, რომ ჩვენში გაჩნდა ერთ-გვარი მატლი, რომელმაც ხეხილი მოგვიჭამა და მით დიდი ზარალი მოგვცა. ამასთან დაწვრილებით ავსწერეთ: როგორია ეს მატლი გარეგანის სახით და როგორს მცენარეს და რა ნაწილს მცენარისას უფრო სჭამს.

რადგან ორის წლის გამოცდილებამ ცოტა რამ გვასწავლა, ურიგო არ იქნება, „ივერიის" მკითხველებსაც ვაცნობოთ, რაც ჩვენ ვიცით. მატლი არის ორ-გვარი, — ერთ-გვარი იზრდება ერთ გოჯზედ ცოტა გძელი, სიმსხოთი, ირგვლივ, ნახევარ გოჯის სიგძე; ფეხი აქვს თორმეტი; ტანზედ ასხია თხელი და გრძელი ბალანი; ზურგზედ მისდევს ზოლები მომრგვალო ყვითელის წინწკლებით; კანი აქვს მურა. ეს მატლი სჭამს ყვავილს და ფოთლებს ყველა გვარის ხისას ატმისა, ჭერმისა და ვაზის ფოთლების გარდა. პირველად იჩეკება მარტში, მეორედ ივნისში და მესამედ აგვისტოში. მატლი მანამ პატარაა, ხიდგან ძირს ეშვება წვრილს ძაფზედ, რომელიც მატლის გვამიდგან იძგიბება, როდესაც მატლი მიაწევს ჰასაკს. აბრეშუმის ჭიის მსგავსად მიაბამს ხის ფოთოლზედ ძაფს, შემოიხვევს გარშემო და გააკეთებს პატარა თხელს და რგვალს პარკსა. მერე პარკიდგან გამოდის პატარა თეთრი პეპელა; ეს პეპელა სდებს კვერცხებს (რამდენს, არ შეგვინიშნავს) და იქიდგან იჩეკებიან მატლები. ამ კვერცხებს ყინვა და წვიმა ვერას ავნებს.

მეორე გვარი მატლი იზრდება ნახევარ გოჯისა, სისქით, ირგლივ, ნახევარ გოჯზედ ცოტათი ნაკლებია; ზურგზედ და გვერდზედ კანი მურა აქვს, მუცელზედ ნაცრის ფერი; ტანზე ასხია მოკლე და თხელი ბალანი; თორმეტი ფეხი აქვს. ეს მატლი პირველად გაჩნდა ატამზედ, ატმიდგან გადავიდა ვაზზედ შარშან პირველ გაზაფხულზედ და ამოსჭამა კვირტები. რომელ ვაზსაც სრულებით შეუჭამა კვირტები, ის ვაზი გახმა და რომელსაც თითო-ოროლა კვირტი შერჩა, თუმცა გამოიტანა რქა, მაგრამ უღონო. რაკი რქა და ფოთოლი გაიზარდა, მატლმა ველარა დააკლო-რა. ეს მატლი აბამს ატმის ტოტებზედ, შავის ვაზის ქერქში და ჰიგვის ქერქში ობობას ქსელის მსგავსად თხელს და წმინდა ქსელს და იქა სდებს კვერცხებსა. ეს მატლი რამდენად მრავლდება და რამდენჯერ იჩეკება ზაფხულის განმავლობაში, ეს არ შეგვინიშნავს; ეს კი აშკარაა, რომ ამ მეორე გვარს მატლს მეტი ზარალი შეუძლიან მოგვიტანოს, ვიდრე პირველსა. ეს უფრო ძნელი მოსასპობია, ვიდრე პირველი. პირველს გვარის მატლის თესლი თვალითა სჩანს ხის ტოტებზედ თავის დიდსა და თეთრს ბუდეში და მეორე-კი დამალულია ვაზის და ჰიკვის ქერქში, ატმის ქერქში და ტოტებზედ.

პირველის გვარის მატლის სრულებით მოსპობა შეუძლებელია, რადგან სოფლის გარშემო: ტყე, ჭალა და მინდორი სავსეა ამ მატლებით, და თუ ვენახში მოჰსპობთ, ხსენებულ ადგილებიდგან მოფრინდება პეპელა და ხელ-ახლად გაჩნდება. იმდენად შემცირება-კი შესაძლოა, რომ საგრ-

---

უმრავლესობა ნივთიერად გაღატაკებულია, უსწავლელი, უმეცრებით მოცული და უფლებას მოკლებული; ამ უმრავლესობის შრომამ და ჯაფამ მისცა საღსარი, მოცლა ჭკვიანს კაცებსა, შეისწავლონ მეცნიერება, ეძიონ ჭეშმარიტება, რომ შემდეგ გაჭირვებულთ დაეხმარონ. აქედგან ცხადია, რომ ეს ჭკვიანი კაცებიც მოვალენი არიან შემწეობა და საქმით მხურვალე თანაგრძნობა აღმოუჩინონ ამ მშრომელსა და უმეცარს ხალხს, რომ ამანაც თავისის ბუნების სამართლიანი მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს. ჩვენ შეგვიძლიან მოწმად მიუდგომელი ისტორია მოვიყვანოთ, რომ ეს მოვალეობა მოაზრე, ჭკვიანს კაცებს ესმოდათ და დღესაც ესმისთ, მაგრამ არა გვსურს წერილის გაჭიანურება. წარმოიდგინეთ, რომ ჭკვიანს კაცს, ნამდვილს მოაზრე ადამიანს სამსჯავროსა, ანუ მრთელის თავის თანამედროვე საზოგადოების წინაშე წარმოეთქვა: „მე მხოლოდ ის ვიცი, რომ არა ვიცი-რაო!" ხომ სისულელედ ჩასთვლიდა შემდეგი თაობა იმ კაცის სიტყვებსა? დღეს, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ყოველი ჭკვიანი კაცი თავის შეხედულობას, თავის საკუთარს რწმუნებას და მოსაზრებას თამამად ამჟღავნებს და, შეძლებისადა გვარად, ახორციელებს ცხოვრებაში. ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც წინაამდეგი მოვლენა ადამიანის ბუნების წინააღმდეგი იქნებოდა. ნამდვილს ჭკვიანს, ნამდვილს მოაზრე ადამიანს თავისი აზრი და მსოფლიოზე შეხედულობა ჭეშმარიტებად მიაჩნია და ეს თავის საკუთარის გონებით, ცდით და ჯაფით შეძენილი ჭეშმარიტება ისე უყვარს, როგორც დედ-მამას თავისი ღვიძლი შვილი... ან ერთი ეს მიბრძანეთ, ჩვენ საწყლებმა როგორ უნდა გავიგოთ ჭკვიანის კაცის ჭკვიანობა, თუ იმან მხოლოდ „არა-რაობაზე ფიქრი" დაიწყო და დრო გამოშვებით თავის გულში ჩაიძახა: „მე არა ვიცი-რაო"? რა საზომი უნდა ვიხმაროთ, რომ ჭკვიანი კაცის ჭკვიანობა გავიგოთ? ნუ თუ სიჩუმე და არა-რაობაზე ფიქრი ჭკვიანისს კაცის მხრით ჭკვიანობისა და ნამდვილ სალის გონიერების გამომხატველია? არა-რაობაზე ფიქრი ჭკვიანს კაცს გრაფ ტოლსტოის ბუნდ მოძღვრებამდის მიიყვანს და ბუდდას გაალმერთებინებს.

ყურადღების ღირსია ჩვენის განთქმულ მოღვაწის წერილში უკანასკნელი მწარედ წარმოთქმული სიტყვები: „რადგანაც ბევრი რამ გვაქვს სათქმელი ჩვენს ქვეყანაზე, ჩვენს ხალხსა და იმ ჩვენს მოწინავე დასზე, რომელსაც ერთხელვე ჩვენში ახალ-თაობა დაერქვა, ამისათვის ეს დღევანდელი ჩვენი „ლაყბობა" საწინასიტყვაო იყო და, თუ ცოტა ბუნდოვანი გამოვიდა, ნურას უკაცრავადო". აქ ჩვენც ბევრი რამე გვაქვს სათქმელი, მაგრამ აკაკის დაპირებას ვუცდიდით ამდენს ხანს და ამიტომ დავაგვიანეთ წერილი; დაეუცდით შემდეგისათვისაც აკაკის ნათელს აზრს ამ მძიმე საგანზედ, რადგანაც დროა ამის შესახებ გონიერი და პირუთვნელი მსჯელობა გამოთქმულ იქმნას. ახლა კი წავიდეთ ქვევით.

II

აკაკის აზრით, ქვეყანა სათეატრო სარბიელია, ხალხი იმ თეატრში მოქმედი: ზოგი მსახიობია და ზოგი-კი მაყურებელი. ქვეყანაზე, როგორც თეატრში, ყოველისფერი მოჩვენებულია და მარტო თვალსა სჭრის: სცენაზე (იგულისხმე ქვეყანაზე) გამოსულს, ბრძნულად მქადაგებელს ტაშის კვრით გავაცილებთ მაშინ, როდესაც თვით იმ კაცს თავისი საკუთარი გრძნობაცა და გონებაც გაცვეთილ-გაქლესილი აქვს. ასეთია ეს «წამიერი კანონი(?)": ნამდვილს მოჩვენებული გვირჩევნია და ამისი ბრალიაო, რომ ნამდვილს გრძნობა-გონებას ისეთი ფასი არა აქვს ცხოვრებაში, როგორც თვალთ-მაქცურს... მოჩვენებულსო.

ეს, ჩვენის ფიქრით, მეტის-მეტი გაზვიადებული შედარება უნდა იყოს. სად თეატრი და სად ქვეყანა და მის მოვლენათა ერთობ რთული თავისჩენა და მიმდინარეობა. თეატრი ხელოვნების ტაძარიაო, — ამბობენ, რომელიც არა თუ სრულიად მრთელის ქვეყნის, არამედ ადამიანის ცხოვრების ზოგიერთ მხარეების მკრთალი და ბნელი გამომხატველიც ძლივს არის. თვითონ ხელოვნებაც მხოლოდ ნაწილია იმ რთულის აგებულებისა, რომელსაც სახელად ცხოვრება ჰქვიან. ხელოვნება სრულიად ვერასოდეს ვერ გამოჰხატავს ცხოვრებას და თეატრი, როგორც ტაძარი ხელოვნებისა, მხოლოდ აჩრდილია ქვეყნისა, ცხოვრებისა და მეტი არაფერი. რას ეგვანება, თქვენი ჭირიმეთ, ცოცხალი ადამიანი თავის აჩრდილს რომ შეადაროთ; ცოცხალი ადამიანი ცოცხალია და იმისი ჩრდილი-კი ლანდია... სალის გონების პატრონს და ხალხს თავისის ყოველ-დღიურის ცხოვრებით სინამდვილესთან შეკავშირებულს, არა გვგონია, რომ ნამდვილს მოჩვენებული ერჩიოს. მართალია, ზოგიერთს მოჩვენებული ნამდვილს ერჩივნა და ურჩევნია დღესაც, მაგრამ ამ ზოგიერთების ჭკუის საზომით ხომ არ შეიძლება განიზომოს ყველას შეხედულობა. ცხოვრებაზედ საზოგადოდ რაც უნდა ხელოვნურად დაჰხატოთ, რაც უნდა ჯადოსან და თვალთ-მაქცურ მოჩვენებით მოქარგოთ დიადი სახე მყინვარისა, გომბორის მთიდგან მოჩვენებული „ალაზნის-ველი", ხომლის კლდიდგან ხელის გულივით გარდაშლილი საუცხოვო სურათი მდ. რიონის მინდორ-ველისა და შავიზღვის აღმოსავლეთის ნაპირისა, ნამდვილთან შედარებით მაინც ყოველთვის აჩრდილი და მოჩვენება იქნება. რატომ? იმიტომ, რომ პირველი ხელოვნურად მოჩვენებულია და მეორე-კი სინამდვილეა; პირველი უსულო და უღონო აჩრდილია, მეორე-კი თვით განხორციელებული სიცოცხლე და ბუნებაა.

ჩვენ ამ ნაირმა შედარებამ გაზეთი „თეატრი" მოგვაგონა, სადაც ამ ერთის წლის წინად ამ გვარივე აკაკისებური შედარება იყო გამოთქმული. „თეატრის" რედაქციაც ქვეყანასა და ცხოვრებას თეატრს ადარებდა და რათა, ანუ რა საბუთით?—ამაზედ-კი ხმას არ იღებდა. მაგრამ «თეატრის» მაში-

ძნობელი ზარალი ველარ მისცეს ხეხილის პატრონს. ძალიან ადვილად შეიძლება, ზამთარში ხის ტოტებიდგან მოიკრიფოს პარკები და დაიწვას. მეორედ გამოჩეკილი მატლი საგრძნობელ ზარალს ველარ მისცემს ხეხილს, რადგან მეორედ გამოჩეკილს მატლს ნოყიერი ფოთლები დაჰხვდება. მეორე გვარის მატლის მოსპობა ძალიან ძნელია, რადგან ბუნაგები თვალთუჩინარ ადგილებში აქვს.

ლაფიან ხეველი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ერთმა პარიჟელმა გაზეთის თანამშრომელმა კარგადა სთქვა: «დღევანდელი პოლიტიკა და დიპლომატების საქმე გიჟების სახლს მაგონებსო». მართლაც და უყვირიან, ილანძღებიან, ემუქრებიან, მუშტებს უღერებენ ერთმანერთს; გგონიათ ეს არის, ასტყდება ერთი საშინელი ჩხუბი, თავის-მტვრევაო, მაგრამ არა, ყველაფერი მშვიდობიანად თავდება. მაშ რაღაზე იწუხებს დიპლომატია თავსა, რაზე სწეწს საქმეებსა. აი დღესაც რას წარმოგვიდგენს პოლიტიკა, როგორც გაზეთი „Новости“ გვიხატავს:

ბოლგარიიდგან არაფერი სასიამოვნო ამბები მოგვდის, სერბიაც რაღასაც აპირებს, მაკედონიასა და ალბანიაში საქმეები ძრიელ იწეწება, რაღაც არეულობა და უკმაყოფილებაა, რომელიც მერმისისათვის არაფერს სიკეთეს მოასწავებს. ინგლისის ფული დატრიალდა აქ და როგორც ეტყობა, საქმეს კარგად აკეთებს. ალბანიაში უწესოება კიდეც დაიწყო, შავი-მთაც (ჩერნაგორია) ჯარებს ამზადებს. ოსმალეთი ჰგრძნობს, რომ განკითხვის დღე უახლოვდება და, რასაკვირველია, ემზადება,—ეშინიან, განსაცდელი ერთბაშად არ დაგვატყდეს თავზედაო. ბოლგარიისა და მაკედონიის საზღვრებზე ჯარებს აგროვებს ოსმალეთი; ავადმყოფი ძალასა და ღონეს იგროვებს და უომრად არ უნდა დაუთმოს მტერს თავის შეძლება.

გადიყრება ღრუბლები და მოიწმინდება ცა, თუ ეს არევ-დარევა სნეულებად გადაექცევა ევროპასა?

* * *

ბერლინელი კორრესპონდენტი გაზ. „Моск. Вѣд.“-ისა გვარწმუნებს,

რომ გერმანია ომს ვერ ასცდებაო. თუნდ თვითონ ბისმარკს ძალიან გულითაც არ ჰსურდეს ომი, მაინც ვერაფერს იზამს. საქმე იქამდინ არის მისული, რომ ბისმარკმა ან თავისთავად უნდა დაიწყოს ომი, ან პოლიტიკას ისეთი მიმართულება მისცეს, რომ ომი იმის უნებურად უთუოდ ასტყდესო. ბისმარკი უკან ველარ დაიწევს, სხვა გზას მოქმედებისას ველარ ამოირჩევს.

თვითონ გერმანელები დარწმუნებულნი არიან თურმე, რომ ომი აუცილებლად მოხდებაო და ამიტომ დიდს მზადებაში არიან. ასე წარმოიდგინეთ, რომ ძაღლებსა და ქორ-მიმინოებსაც კი სწურთვნიან ომისათვის. იქნება ჩვენს მკითხველებს გაუკვირდეთ და იკითხონ,—ქორ-მიმინო რაღათ მოუნდათო? ნუ დაივიწყებთ, რომ საფრანგეთს მტრედები ჰყავს გაწვრთნილი ომის დროს ამბების გადასატან-გადმოსატანად. და აბა ამ ფრთოვან მოამბეთათვის ქორ-მიმინოზე უკეთესი მტერი იქნება ვინმე?

შორს მიდის ცივილიზაცია, შორს!...

## რუსეთი

— შინაგან საქმეთა სამინისტროს ნება მიუცია ჟურნალ „Русская Мысль“-ის რედაქტორის ბ-ნ ლავროვისათვის გაიაფოს თავისი ჟურნალი, ასე რომ ერთის წლით 12 მანეთი ღირდეს, ნახევარ წლით 6 და სამის თვით 3 მან.

— გაზეთები გვაუწყებენ, რომ ფინანსთა სამინისტრო ადგენს პროექტს ახალის ბაჟის დაწესებისას იმ გვარს საქონელზე, რომელიც არ შეადგენს დიდს საჭიროებას კაცისათვის და მხოლოდ მდიდართათვის თუა სანუკბარიო.

— რადგანაც ჩვენის ქაღალდის ფულის ფასები საზღვარ-გარედ ძრიელ დაეცა, ფინანსთა სამინისტრო აპირობს ზოგიერთი ისეთი ცვლილება შემოიღოს, რომ ქაღალდის ფულის ფასმა ცოტაოდნად აიწიოს. აი ეს საშუალებანი:

1) ბრძანება იქნება გაცემული, რომ დამბაჟნებმა ოქროს მაგიერ, ზოგიერთი ბაჟი ქაღალდის ფულით მიიღონ, მხოლოდ იმ კურსის დაგვარად, რომელიც სამინისტროსაგან იქნება დაწესებული.

2) რაც კი ბერლინის ბირჟაზე რუსის ქაღალდის ფულებია, მთავრობა ხელ-ხელა შეისყიდის.

3) აკრძალული იქნება რუსის ქაღალდის ფულის გატანა საზღვარ-გარედ ვაგონებით, ზანდუკებით და ტომრებით, როგორც ეხლა შვრებიან ზოგიერთი ჩარჩები.

4) ფინანსთა სამინისტროსაგან დაარსებული იქნება კანტორები ბერლინში, ჰამბურგში, მაინის ფრანკფურტში, ამსტერდამში, ვენაში და პარიჟში, სადაც სუყველა რუსის მოგზაურს დაუხურდავებენ ქაღალდის ფულს და იმ ფასს მისცემენ, რომელიც სამინისტროსაგან იქნება დაწესებული.

— გაზ. „Рус. Вѣд.“-ს აცნობინებენ დეპეშით ტომსკიდამ, რომ თითქმის ნახევარი ქალაქი, წყლების ადიდების გამო, წყლით არის დაფარული.

— სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო ამ მოკლე ხანში განიხილავს პროექტს ახალის უმაღლესს სასწავლებლის დაარსების თაობაზე ხერსონის ქალაქში. ეს სასწავლებელი იქნება სამეურნეო, სწორედ იმ გვარი, როგორიც ეხლა პოლტავაში, ნოვო-ალექსანდრიის ქალაქში არსებობს.

— შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით აუკრძალავთ ლ. ნ. ტოლსტოის წიგნაკის გასყიდვა: „Власть тьмы, или коготокъ увязъ, всей птичкѣ пропасть.“

## გასართობი

მარგებელია თუ მაწყინარი პაპიროზის წევა? ამ ცოტა ხნის წინად ქიმმა ფავარგერმა ვენის ქიმების კრებაში წაიკითხა მოხსენება იმაზე, თუ როგორ სწამლავს კაცს თამბაქოს წევა. ზომაზედ გადასული თამბაქოს წევა ბევრჯელ ჰბადავს ხოლმე ძარღვების სისუსტეს და სასუნთქის ორგანოების ავადმყოფობას. ვინც ბევრს ეწევა, გულის ფრიალი მოსდით ხოლმე, რადგანაც ნიკოტინი (იმ საწამლავსა ჰქვიან, რომელიც თამბაქოში ურევია) ძრიელ მავნებელია გულისთვის. ამავე მიზეზის გამო თამბაქოს წევა სწყენს სტომაქსა და კუჭს უშლის საჭმლის მონელებასა. მშიერმა კაცმა თუ მოსწია თამბაქო, პურის მადა ეკარგება. კიდევ კარგია, რომ მხოლოდ ბევრის წევა სწყენს კაცსა. სუყველაზე მავნებელია კაცის ჯანისათვის თამბაქოს ბოლის ცხვირში გამოშვება. მაგრამ, როგორც ზემოხსენებული ქიმი გვარწმუნებს, ვინც ცოტას ეწევა, იმისათვის თამბაქო სრულიად მავნებელი არ არის. როდესაც კაცი მაძღარის სადილის შემდეგ კარგს სიგარას მოსწევს, მაშინ კარგს გუნებაზე მოდის და კარგადაც ინელებს საჭმელებსა. ვისაც უნდა, რომ თამბაქოს წევამ არ ავნოს, უნდა მოსწიოს პურის ჭამის შემდეგ და ბოლი არ ჩაჰყლაპოსო.

**

უხაროდეს საიდუმლო პოლიციას. ლონდონში მოუგონიათ ისეთი საათები, რომლებშიაც მცირე და ფრიად მცირე ფოტოგრაფიული მოწყობილობაა ჩასმული. როცა საათს ახდით, მაშინვე ეს მოწყობილობა დაიწყობს მუშაობას და ერთს წამს ვისაც გინდათ სურათს გადაიღებს. ამ გვარი საათები უკვე დაურიგებიათ ლონდონში პოლიციელთათვის, რომელთაც კარგად გამოუყენებიათ კიდეც. უკანასკნელად რომ კრება ყოფილა სოციალისტებისა, პოლიციას ბევრის საეჭვო კაცის სურათი გადაუღია ერთის თვალის დახამხამებაში.

## დეპეშა

23 აპრილი

ბერლინი. რეიხსტაგში წარდგენილ იქმნა კანონ-პროექტი არაყის ბაჟის თაობაზე. ამ კანონ-პროექტის ძალით, სხვათა-შორის შემდეგი წესი იქმნება შემოღებული: 1887 წ. 1 ოკტომბრიდამ 150 მარკა უნდა იქმნას გადახდილი ყოველ ასს კილოგრამს არაყზე, თუ ეს არაყი მოტანილია ისეთს სახელმწიფოდამ რომელიც სატამოჟნო კავშირს არ ეკუთვნის.

24 აპრილი

პეტერბურგი. როგორც ისმის, სახელმწიფო საბჭომ გადასწყვიტა, რომ საზაფხულო საორთველომდე განხილულ იქმნას ისეთი საქმეები, რომელთაც გადადება ყოვლად შეუძლებელია. ხოლო რადგან განსახილველი საქმეები ბევრი შეიკრიბა, ამიტომ საქმეები უნდა განიხილოს არა იმის და მიხედვით, რომელი როდის შემოსულა, არამედ იმის მიხედვით, თუ რომელი უფრო საყურადღებოა და საჩქარო; დანარჩენი კანონ პროექტები-კი განხილულ იქმნება შემოდგომაზე ჩვეულებრივის წესითა.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატაში ინდოეთის საქმეთა მინისტრმა სთქვა, რომ ავღანისტნიდამ მოსულ ამბებს აგრე რიგად არ უნდა ვიჯერებდეთო და რომ ხაიბერიის ხეობაში უწესოების თაობაზე მთავრობამ არა—იცის-რაო.

ბერლინი. იმ საარაყო ბაჟიდამ, რომლის შემოღებასაც აპირებენ, შემოვა 143 მილიონი მარკაო, მაშასადამე 96 მილიონით მეტი, ვიდრე ეხლააო.

პარიჟი. რადგან გერმანიის წინააღმდეგ გამუდმებული უწესოებანი ხდება, წარმოდგენები „ლოენგრინის“ ოპერისა სამუდამოდ გადადებულ იქმნა.

---

ნდელს რედაქციას საბუთი, უეჭველია, ჰქონდა ქვეყანა და ცხოვრება თეატრისათვის შეედარებინა, რადგანაც, როგორც სამართლიანად ამბობს თვით აკაკი, ყოველს კაცს თავისი საკუთარი წარმოდგენა აქვს, საკუთარი გემოვნება, საკუთარი მოთხოვნილება და ყოველისფერს ისე გამოიხატავს, როგორც თვითონ ესიამოვნება და ეპრიანება. თქმა არ უნდა, რომ აკაკიც... მაგრამ ჩვენს სახელოვანს აკაკის ზემო ნაჩვენებს ზოგიერთა მწერლებთან საერთო რომ არაფერი აქვს!..

რადგანაც, რაც ყოველთვის თვალწინ გვიდგა და ნამდვილიც არის, ის არაფრად მიგვაჩნია და მოგვწონს მხოლოდ ის, რაც ხან-და-დან მოგვეჩვენება, ამიტომ,—ამბობს აკაკი,—ვისაც კეთილ-დღეობა უნდა, ყველა ეს კარგად უნდა იცოდეს და ისე დაიჭიროს თავი ხალხში, როგორც ხალხის გრძნობა-გონება მოითხოვსო. ვინც ამ «აუცილებელს ჭეშმარიტებას» ყურადღებას არ აქცევს, იგი ცხოვრებას იმწარებსო. აქედგან ის დასკვნა გამოდის, რომ ვინც ცხოვრების შემუშავებულ გარემოებათა, ზნესა და ჩვეულებას, ე. ი. კულტურას ჰშორდება, იგი უნდა მოისპოს და, ვიტყვით ბიოლოგების სიტყვით, მოკვდეს, გარდაშენდეს...

ჯერ ერთი ეს მინდა გავიგო, ვის ეძახის აკაკი ხალხს და, მეორედ, განა ცოდვა არის კაცმა ხალხში ისე დაიჭიროს თავი, როგორც ხალხის გრძნობა-გონება მოითხოვს? გამოჩენილ კაცთაც განა ისე არ ეჭირათ თავი ცხოვრებაში, როგორც ხალხის გრძნობა-გონება მოითხოვდა? მშრომელ ხალხის გრძნობა-გონება, თქმა არ უნდა, ბატონ-ყმობას მოსპობას სულით და გულით თხოულობდა; მაგრამ იმ ხალხს, რომელსაც, სხვა და-სხვა მიზეზებისა გამო, ნამდვილს მოჩვენებული ერჩია და ურჩევნია, ცოდვად მიაჩნდა ამ საზიზღარ ჩვეულების „ბორკილის დამსხვრევა“. ჭკვიანის კაცის გონებასა და ზნეობაზედ არის დამოკიდებული, თუ როგორ უნდა მოიქცეს იგი ამისთანა, თუ ამის მაგვარ შემთხვევაში...

ცოტა ხანს შევჩერდეთ «იმ აუცილებელს კანონზედ», რომელიც ადამიანთა, ხალხის ცხოვრებაში გამონახა აკაკიმ.—ადამიანის გულის მომწყვლი და შემზარავია ეს «აუცილებელი კანონი»! ბიოლოგიამ, დარვინის პირით, სიტყვის შეუბრუნებლად დაამტკიცა ბუნებაში საზოგადოდ და ცხოველების ცხოვრებაში ცალკედ ამ კანონის არსებობა. ადამიანთა საზოგადოების, ხალხის ცხოვრების შესახებ ჯერ კიდევ მეცნიერებს ვერ გადუწყვეტიათ საქმე და ჩვენთვის გულ-დასაჯერებელი, მტკიცე პასუხი არ მოუციათ. ეს გასაკვირველიც არ არის. საზოგადო მეცნიერება ჯერ ახალი საგანია და სწორედ ფეხი ცოტათი მაშინ მოიკიდა და ნიადაგიც იშოვა, როდესაც ბიოლოგია დაიარაღდა და წარმატებაში შევიდა. ამ ახალს მეცნიერებას ჯერ კარგად სასიარულო გზები და გამოსაკვლევი ხერხებიც ვერ უპოვია და, რასაკვირველია, გადაწყვეტილ პასუხისა და უტყუარის კანონების გამოყვანას ფრთხილად ექცევა.

ადამიანთა საზოგადოების, ხალხის ცხოვრების შესახებ მსწავლულთა ორი უმთავრესი დედა-აზრი აქვთ. ერთი რიგი მსწავლულებისა მხოლოდ დარვინის მოძღვრების შეხედულობით [1] ხელ-მძღვანელობს ადამიანთა საზოგადოების, ცხოვრების გასაგებადა და თავის აზროვანს ნიჭს და გონებას ახმარებს იმის შესწავლას მხოლოდ, რაც არსებობს, რასაც მტკიცე კავშირი აქვს სინამდვილესთან. ცხოვრებაში სახელ-მძღვანელო, კეთილშობილურ იდეალების წამოყენებასა და შემუშავებაზედ ხელს იღებენ. ამ მსწავლულების გონებას იზიდავს მხოლოდ ყოფა-ცხოვრება, კულტურა საზოგადოებისა. მეორე რიგი მსწავლულებისა თუმცა დარვინისაგან დამტკიცებულს კანონს ჭეშმარიტებად სთვლიან ბუნებასა და ცხოველების ცხოვრებაში, მაგრამ ცნობიერ არსებათა საზოგადოების ცხოვრების გასაგებად კი თავიანთ კრიტიკის დასაწყისს თვითონ ადამიანის პიროვნებაში ეძებენ და ამტკიცებენ, რომ არც საზოგადოების აწინდელს წეს-წყობილებასა, არც ცივილიზაციას თავის თავად ფასი არა აქვს, თუ ერთიც და მეორეც ადამიანის ბუნების კანონიერს მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებსო, შემდეგ ეს უკანასკნელი რიგი მსწავლულებისა ალიარებს კიდევ, რომ მეცნიერება მოვალეა ადამიანს ემსახუროს, სახელ-მძღვანელოდ დასდოს კეთილშობილური იდეალები და ყურადღება მიაქციოს არა მარტო იმას, რაც არსებობს, არამედ იმასაც, **რაც სასურველია** და **რაც უნდა იყვეს**. ამათს ყურადღებას იზიდავს მხოლოდ ადამიანის ნამდვილი ღირსება და ეს ღირსებაც იმაში უნდა იხატებოდეს, რომ ადამიანმა განაკარგოს რომელიმე მხარე ნამდვილის ცხოვრებისა, შეიტანოს და განახორციელოს ცხორვებაში მაღალი და სათნო აზრი...

საგნის განხილვამ იქამდისინ მიგვიყვანა, რომ აკაკი თუმცა არა სთვლიდა საჭიროდ და არც მოელოდა ამ ხანად საზოგადო მეცნიერებასთან საქმის დაჭერას, მაგრამ ჩვენ, ჩვენის მხრით, ნებას ვაძლევთ ჩვენს თავს წამოვაყენოთ შემდეგი საკითხავი: სოციოლოგიურის კანონების მეძიებელთა შორის რომელის რიგის აზრს ამართლებს და სთვლის ჭეშმარიტებად აკაკი? აი პასუხიც: მრთელ თავის ნაყოფიერის მოღვაწეობით და საკვირველ ნიჭის ნაწარმოებით ჩვენი განთქმული პოეტი სრულიად ამართლებს მეორე რიგის მსწავლულების მსოფლიოზე შეხედულობას და ამ უკანასკნელ თავის წერილით-კი პირველის რიგის მსწავლულების აზრსა ჰრაცხს „აუცილებელს ჭეშმარიტებად და კანონიერად“... მოდით და გაიგეთ...

ხომლელი

(შემდეგი იქნება)

[1] მე აქ, ეხლა, დროისა და ადგილის უქონლობისა გამო, დარვინის სწავლა-მოძღვრების მოკლედ გამოხატვას ვერ გამოვუდგები. მკითხველს ვურჩევ ქართულს ენაზედ ახლად დაბეჭდილს პატარა წიგნსა: „ინსტინქტი დარვინის თეორიის შეხედულობით“. მოკლედ დარვინის თეორიას იქ გაიცნობთ. ავტ.

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

ამაღლება 14 მაისს, სულისწმინდის მოსვლა 24—25, პეტრე-პავლეს მარხვა 1 ივნისს. ეს მარხვა 1887 წელს 4 კვირით არის.

### აპრილი 30 დღით არის.

**25 დღე შაბათი.** წმ. მარკოს მახარებელისა. კათოლ. წმ. მოწ. მარკოს მახარებელისა. მუსულ. ალბარათის ღამე. იმერეთის მეფემ სოლომონ მეორემ ფიცი დასდო რუსეთის ერთგულებაზედ და რუსეთის ქვეშევრდომი გახდა, 1804 წ.—ქართლის მეფე ვახტანგი საქართველოდგან რუსეთში წავიდა თავის მხლებლებით რუსეთის დედოფალ ეკატერინე I-თან, როცა საქართველო ოსმალებმა დაიპყრეს, და დაჯილდოებულ იქმნა ეკატერინეს მიერ წმ. ანდრიას ორდენით, დაენიშნა ჯამაგირი წელიწადში 12,222 მან. (1725 წ.) და შემდეგ სხვა-და-სხვა დროს მიებოძა აგრეთვე რამდენიმე სოფელი 2896 კაცით დასახლებული. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 4—49, ჩადის 7—4. მთვარე 15 დღისაა.

---

## თფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან.

თბილისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ქვემოხსენებულის პირების უძრავი ქონებანი, გირაოდ მიღებულნი ბანკისაგან, დანიშნულნი არიან ბანკის § 14 თანახმად საჯაროდ გასასყიდად, ამავე ბანკის წესდებულებით დადგენილთა გადასახდელების შემოუტანელობისათვის. გასყიდვა არ მოხდება მხოლოდ მაშინ, როცა ხვედრს გადასახდელს შემოიტანენ.

### ა) სესხნი, გაცემულნი არა-ურთიერთობრივის თავდებობით.

### I ქალაქის მამულები

გაბაშვილი, ალექსანდრე ზაქარიას ძე, ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, სარდაფით და ფლიგელით და ორ-სართულიანი მიშენებული სახლი, 160 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით. ქ. თბილისში, I განყოფილებაში, I ნაწილში, მოსკოვის ქუჩაზედ.

სულხანოვისა, მარიამ ივანეს ასული, 18 ქვის დუქანი, ამათში 14 ერთ-სართულიანი სარდაფებით და 4 ორ-სართულიანი ბალახანით, 276 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. თბილისში. ორი დუქანი მეშვიდე ნაწილში I განყოფილებაში, თათრის მეიდნის კუთხეში, დანარჩენი 16 დუქანი მე-14 ნაწილში მე-2 განყოფილებაში, ჩულურეთში.

ერისთავი, ალექსანდრე პავლეს-ძე, წისქვილი და სადგური 5610 ოთხ-კუთხი საჟ. მიწა, ქ. გორში.

მირიანოვისა, მარიამ იაკობის ასული, ერთი ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და აბანოები 168 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით, ქ. გორში.

პოლტარაცკი, ივანე ეგნატეს-ძე, ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ორის ორ-სართულიანის ფლიგელით და შენობით, მიწის ზომა $321^2/_3$ ოთხ-კუთხი საჟ., ქ. ტფილისში, I განყოფილებაში, 1 ნაწილში, ოლგას და მოსკოვის ქუჩაზე.

